განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს კანონში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:
„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს კანონის ევროსტანდარტებთან დაახლოება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის პროფესიული მომსახურების და აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციის ტერმინთა განმარტებაში. ცვლილების შესაბამისად პროფესიის განვითარების, ჯანსაღი კონკურენციისა და პროფესიის მონოპოლიზების საფრთხისაგან თავის დაზღვევის მიზნით საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიული ორგანიზაცა დაექვემდებარება აკრედიტაციას.

კანონპროექტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნონ და გამოსცენ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა. ასევე, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) საქართველოს სახელმწიფო ენაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ისინი ქართულ ენაზე უნდა თარგმნონ და გამოსცენ აკრედიტებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

კანონპროექტით რეგულირებულ სფეროზე კანონპროექტის შესაბამისად განისაზღვრება ორსაფეხურიანი ზედამხედველობის შექმნის ვალდებულება. 2013 წლის განმავლობაში შეიქმნება საზედამხედველო ორგანო, რომლის შექმნის წესი და ფუნქციები შემუშავებული იქნება მომდევნო წლის განმავლობაში პროეფესიაში ჩართულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად.

კანონპროექტის შესაბამისად აღნიშნულ საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებში შევა პროფესიულ ორგანიზაციებზე ზედამხედველობა, რეესტრის

ცვლილებების შესაბამისად საქართველოში მოქმედი ყველა ორგანიზაცია ვალდებული იქნება გარდა აკრედიტაციისა დაექვემდებაროს აკრედიტაციის პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგს, რომელსაც აკრედიტაციის ეროვნული ცნეტრის მაგივრად განახორციელებს საზედამხედველო ორგანო მისი ფორმირების შემდეგ.

ცვლილება ასევე შედის კანონის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტში რომლის შესაბამისად მონიტორინგის შედეგად შედგენილი დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლებიც მოექცევიან ამ კანონპროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) პროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი დავით ონოფრიშვილი